ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2011154

ნომერი: AR1324878

თარიღი : 07.07.2015

გაცემის თარიღი : 14.07.2015

გაცნობის თარიღი : 15.07.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა წამებულის N91 ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნინო გეთიაშვილი პ/ნ 01024039763
- თბილისი ად.მიცკევიჩის ქ. N 3 ბ. 1

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი AR1324878 განაცხადი, ქ. თბილისში, წამებულის ქ. #91ა–ში მდებარე მიწის ნაკვეთზე მშენებლობასთან დაკავშირებით.

პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის მიერ 2013 წლის 26 ივლისის #813802 ბრძანებით და სანებართვო მოწმობით

შეთანხმებულია და გაცემულია დემონტაჟის ნებართვა ქ. თბილისში, წამებულის ქ. #91ა–ში, შპს "თბილისი 94"–ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებული #1/1; #2/1 და #4/1 შენობისათვის. ხოლო სამსახურის მიერ 2014 წლის 12 მარტის №1165534 ბრძანებით შეთანხმებულია არქიტექტურული პროექტი და გაცემულია მშენებლობის ნებართვა საწარმოო-სასაწყობო შენობის მშენებლობისათვის. 2015 წლის 25 მარტის #1802381 ბრძანებით, აღნიშნულ მისამართზე, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ #01.17.12.004.152), შეთანხმდა საწარმოო-სასაწყობო შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. 2015 წლის 16 ივნისის #1955606 ბრძანებით ქ. თბილისში, წამებულის ქ. #91ა–ში, საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ #01.17.12.004.152) კვლავ შეთანხმდა საწარმოო/სასაწყობე შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

ამ ეტაპზე აღნიშნულ ობიექტთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოება არ მიმდინარეობს. თქვენი შეტყობინება სამსახურში მიღებულია ცნობის სახით და ობიექტზე წარმოების დაწყებისა და საჭიროების შემთხვევაში იქნებით ინფორმირებული.

ვინაიდან #813802 26.07.13წ. #1165534 12.03.14წ. #1802381 25.03.15წ. #1955606 16.06.15წ. ბრძანებები და თანდართული დოკუმენტაცია სამსახურის მიერ არის გაცემული ელექტრონული სახით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის და სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ნახვა შეგიძლიათ სამსახურის ვებ-გვერდზე, ამისათვის tas.ge-ზე უნდა აირჩიოთ ინტერაქტიული რუკა და ძიებაში მიუთითოთ თქვენს დაინტერესებაში მყოფი მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი ან/და სამსახურის პასუხის ძიებაში მიუთითოთ AR1140193, AR1173037, #AR1271585, #AR1281643 და #AR1305501 განაცხადის ნომრები.

სამსახურის მიერ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გაცემულ იქნა შესათანხმებლად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თუმცა, თუ თვლით, რომ აღნიშნული აქტები გაყენებთ პირდაპირ და უშუალო ზიანს ან/და დარღვეულია მათი გამოცემის წესი, შეგიძლიათ გაასაჩივროთ ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი #6) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თუ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს სამსახურის მიერ შეთანხმებული პროექტის დარღვევით, სამშენებლო სამუშაოების შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან შეუსაბამობის დადგენის მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.